Geburt

Der strafrechtliche Geburtsbegriff ist eine normative und auslegungsbedürftige Konstruktion, deren genaue Bestimmung maßgeblich ist für die Strafbarkeit der gegen das Leben gerichteten Handlungen und deren Abgrenzung von anderen Delikten. Im **deutschen Recht** ist der Geburtsbeginn im strafrechtlichen Sinn (im Gegensatz zum Zivilrecht, § 1 deutsches Bürgerliches Gesetzbuch) nach jetzt überwiegender Meinung in Anerkennung entsprechender medizinischer Erkenntnisse mit dem Einsetzen der Eröffnungswehen sehen. Bei der Geburt mittels operativer Methoden ist der die Eröffnungsperiode ersetzende ärztliche Eingriff entscheidend, was mit der Eröffnung des Uterus zum Zweck der dauerhaften Trennung des Kindes vom Mutterleib stattfindet. Im **georgischen Recht** ist der Geburtsbeginn dagegen erst mit der teilweisen Trennung des Kindes vom Mutterleib anzunehmen. Im Unterschied zum deutschen Recht reichen also die vor der Geburt entstandene Eröffnungswehen nicht aus. Der Geburtsakt bei der operativen Entbindung wird im georgischen Recht bisher wenig diskutiert. Aufgrund der deutschen Kommentare wird teilweise betont, dass bei der operativen Entbindung bzw. bei einem Kaiserschnitt die Geburt mit der Eröffnung des Uterus stattfindet. Dementsprechend regeln beide Rechtssysteme den strafrechtlichen Geburtsbegriff unterschiedlich. Bedeutsam wird die Frage dann, wenn es darum geht, wann ein Mensch als Opfer eines Tötungsdeliktes vorliegt. (Bhe/Mtu/Gkh)

დაბადება

სისხლის სამართლში დაბადების მომენტი, არის ნორმატიული და ინტერპრეტაციის საჭიროებას დაქვემდებარებული ცნება, რომლის ზუსტი დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების დასჯადობისა და მათი სხვა დელიქტებისგან გამიჯვნის საკითხში. **გერმანულ სისხლის სამართალში**, დაბადების დაწყება (სამოქალაქო სამართლისგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1-ელი პარაგრაფი) გაბატონებული მოსაზრების თანახმად, შესაბამის სამედიცინო ცოდნაზე დაყრდნობით, დაკავშირებულია იმ ტკივილებთან, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის დაბადებას. ქირურგიული მეთოდებით მშობიარობისას გადამწყვეტი ფაქტორია სამედიცინო ჩარევა, რომელიც ხორციელდება საშვილოსნოს გახსნასთან ერთად ბავშვის დედის მუცლიდან სამუდამოდ გამოყოფის მიზნით. **ქართულ სამართალში** მშობიარობის დასაწყისად მიიჩნევა ის მომენტი, როდესაც ბავშვი ნაწილობრივ მაინც გამოეყოფა დედის ორგანიზმს. გერმანული სამართლისგან განსხვავებით, არ არის საკმარისი ის ტკივილები, რომელიც წარმოიშობა დაბადებამდე. ოპერაციული მშობიარობის დროს დაბადების აქტი ქართულ სამართალში ჯერჯერობით ნაკლებად არის განხილული. გერმანულ კომენტარებზე დაყრდნობით, ნაწილობრივ ხაზგასმულია, რომ ოპერაციული მეთოდით მშობიარობისას, საკეისრო კვეთის შემთხვევაში, დაბადების მომენტი საშვილოსნოს გახსნით განისაზღვრება. შესაბამისად,

ორივე სამართლებრივი სისტემა განსხვავებულად აწესრიგებს დაბადების სისხლისსამართლებრივ ცნებას. კითხვა განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როდესაც საქმე ეხება საკითხს, თუ როდის არის ადამიანი მკვლელობის მსხვერპლი. (Bhe/Mtu/Gkh)